

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი  
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL  
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90  
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა  
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of  
Akaki Tsereteli State University  
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного  
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო  
AGRO  
АГРО  
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси  
2023

**ჟურნალი წარმოადგენს**  
**იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და**  
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის**  
**პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას**

**სარედაქციო კოლეგია:**

**ლორთქიფანიძე როზა** – (მთავარი რედაქტორი);

**სანთელაძე ნატალია**- (სწავლული მდივანი);

**წევრები:** პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

**სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:**

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

**The magazine is a periodical scientific publication of**  
**Imereti Agro-ecological Association and**  
**Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.**

**EDITORIAL BOARD**

**Lortkipanidze Roza**– (Editor in Chief);

**Santeladze Natalia**– (Academic Secretary);

**Members:** Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

**FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD**

Chuxno Inna (Ykraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет**  
**Периодическое научное издание**  
**Союза агроэкологической ассоциации Имерети и**  
**Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

**Лорткипанидзе Роза** – (главный редактор);

**Сантеладзе Наталия** – (Ученый Секретарь);

**Члены:** Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Хасая Изольда; Чабუкиანი Рანი; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; კუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; კიპიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კევილიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯან; ჯობავა ტრისტან; ციკორიძე მამუკა; ტავბერიძე სოსო; ტაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზ; ბენიძე ეთერი; ჯორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამ.

**ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის ( <i>physalis peruviana</i> ) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
<b>Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliata _____</b>	<b>20</b>
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის ( <i>Prunus domestica</i> ) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
<b>Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____</b>	<b>52</b>
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის  
ფლორის გვიმრები \_\_\_\_\_ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზად მოყვავილე მერქიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახნიაშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
<b>Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____</b>	<b>181</b>
<b>Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____</b>	<b>184</b>
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
<b>Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____</b>	<b>217</b>

1

აგრარული მეცნიერებანი  
**AGRICAL SCIENCES**  
**АГРАРНЫЕ НАУКИ**



## ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ფლორის გვიმრები

### ნუნუ დიაკონიძე

მეცნიერ თანამშრომელი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო.

### ნინო ხონელიძე

მეცნიერ თანამშრომელი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო.

ნაშრომში მოცემულია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღსა და მის შემოგარენში ბუნებრივად მოზარდი, ველურ ბალახოვან მცენარეებთან ერთად გავრცელებული პტერიდოფლორის-გვიმრები Polipodiaceae- ოჯახის გვარები და სახეობები, სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეებია. ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ველურ პტერიდოფლორაში წარმოდგენილია 9 განყოფილების Polipodiaceae- 15 ოჯახის, 29 გვარის, 73 სახეობით, უსპორანგიუმო და ლეპტოსპორანგიუმოანი გვიმრების სახეობები. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN), „წითელი ნუსხით“ და „წითელ წიგნში“ შეტანილია გვიმრების 3 სახეობა. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ჩვენს მიერ აღრიცხულია არა ადგილობრივი ადვენტური ანუ გზადმოყოლილი, ინვაზიური, სუბსპონტანური გვიმრების 5 ოჯახის, 7 გვარის, 8 სახეობა. ყველა ეს სახეობა მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეებია, 8 სახეობიდან 7 ივითარებს აღმოცენების უნარიან სპორებს, რამაც განაპირობა მათი გამრავლება, გავრცელება. ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ველური ფლორაში იშვიათად გვხვდება 11 სახეობის გვიმრა, მათი უმეტესობა ვიწრო ლოკალურ ადგილებშია გავრცელებული და გადაშენების საფრთხის წინაშეა, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. გამოირჩა გვიმრების ისეთი სახეობები, რომლებიც სამკურნალოდ და დეკორაციულ მებაღეობაში გამოიყენება.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოტიპი. პტერიდოფლორა. სპოროვანი მცენარეები, ხასმოფიტი.

გვიმრები Polipodiaceae- უმაღლეს სპოროვან ჭურჭელბოჭკოვან მცენარეთ ერთ-ერთი უძველესი ჯგუფია, რომელთა წარმოშობა პალეოზოური ერის დევონური პერიოდს უკავშირდება. გვიმრები უძველესი ფლორის წარმომადგენლებია, აერთიანებს როგორც ბალახოვანი ისე ხემაგვარ მცენარეთა ტიპებს, აქვთ მეტწილად დიდი ფოთლები მარტივი, ზოგჯერ მრავალჯერფრთართული, ლანცეტა, წვრილძაფისებურად დანაკვეთილი. ნორჩი ფოთლები ლოკოკინასებრ დახვეულია. გვიმრების უმეტესობა ჩრდილის მცენარეებია, უმრავლესობა ცუდად იტანს პირდაპირ მზის სხივებს და ტენიან ტყის მასივებში იზრდებიან. გვიმრები გავრცელებულია მთელ დედანიწაზე, უმეტესად ტენიან სუბტროპიკებსა და ტროპიკებში. მათი მრავალი საციცოცხლო ფორმიდან ზოგიერთი ხავსებს წააგავს, ზოგი მრავალწლიანი ბალახებია, ზოგი კი ნამდვილ ხეებია. ბალახოვანი გვიმრების ღერო ხშირად მიწიქვეშა დატოტვილი ფესურაა და მასზეა განლაგებული მიწისზედა კვირტები, რომელზედაც ვითარდება ფოთლები. გვიმრების უმრავლესობა ეკოლოგიური თავისებურების მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც გამოიხატება იმაში რომ ერთი და იგივე სახეობა, შესაძლოა განსხვავებული იყოს სხვადასხვა ეკოტიპში. მცირეოდენი სახეობები წყალში იზრდება. გვიმრების დიდი ნაწილი პარაზიტებია ანუ სხვა მცენარის ხარჯზე ცხოვრობენ. ხეებზე, ხის ტოტებზე, ღეროებზე, ფოთლებზე ბინადრობენ.

მსოფლიოში ცნობილია 570 გვარის 15 ათასამდე სახეობის გვიმრა. ისინი სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეებია. საქართველოსა და კავკასიაში გვხვდება გვიმ-

რების 9 განყოფილების 15 ბოტანიკური ოჯახის, 36 გვარი და 79 სახეობა, როგორც უსპორანგიუმო, ისე ლეპტოსპორანგიუმიანი გვიმრების ზოგიერთი სახეობა. ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ველურ პტერიდოფლორაში წარმოდგენილია 9 განყოფილების Polypodiaceae- 15 ოჯახის, 29 გვარის, 73 სახეობით. ეს ოჯახები: Adiantaceae (C. Presl.) Ching. Asplanceae Newm. Athyriaceae Alston. Blechnaceae Newman. Cystopteridaceae (Payer) Schmakov. Dennstaedtiaceae Lqsty. Dryopteridaceae R. C. Ching. Hymenophyllaceae Link. Osmundaceae Bercht et J.Presl. Onocleaceae L. Ophioglossaceae C. Agardh. Bercht. et J.Presl. Polypodiaceae Bercht. Pteridaceae Reichenb L. Thelypteridaceae Pic.Serm. Woodsiaceae Herter.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ პტერიდოფლორაში გავრცელებული გვიმრების ყველაზე დიდი ოჯახებია; Asplanceae 3 გვარის 12 სახეობით, Dryopteridaceae 6 გვარის 20 სახეობით, Pteridaceae 6 გვარის 26 სახეობით; Ophioglossaceae 2 გვარის 2 სახეობით; Thelypteridaceae 3 გვარის 10 სახეობით; Cystopteridaceae 3 გვარის 14 სახეობით; თითო და ორ-ორი სახეობით წარმოდგენილია შემდეგი გვარები და ოჯახები Osmundaceae, Hymenophyllaceae, Blechnaceae და სხვა. გვარები Anogramma, Blechnum, Botrychium, Ceterach, Cryptogramma, Cystopteris, Hymenophyllum, Hypolepis, Notholaena, Cyrtomium, Gymnocarpium, Struthiopteris, Onoclea, Oreopteris, Osmunda, Phegopteris, Thelypteris, Pteridium. Woodsia და სხვა.



*Dryopteris filix-mas.*



*Adiantum crepillus-veners.*



*Osmunda regalis.*



*Polypodium vulgare*



*Pteris multifida*

ჩვენი მრავალწლიანი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ველურ ფლორაში გავრცელებული პტერიდოფლორის გვიმრები ეკოტიპების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად;

1. ტყის ეკოტიპის სახეობები- რომლებიც დიდი ზომის მცენარეებია მრავალჯერ-დანა კვთული ფოთლებით, ტყის რბილი და მდგრადი მიკროკლიმატი განაპირობებს ამ ჯგუფის გვიმრების მორფოლოგიურ მრავალფეროვნებას. ტენთან დამოკიდებულების მიხედვით ეს სახეობები გვევლინებიან მეზოფიტებად და მეზოჰიგროფიტებად, ხოლო



განათებასთან დამოკიდებულების მიხედვით ჩრდილის მოყვარული და ჩრდილის ამ-  
ტან სახეობებს მიეკუთნებიან: *Asplenium adiantum-nigrum*, *A.pseudolanceolatum*, *Blechnum*  
*spicanta*, *Dryopteris dilatata*, *D.affinis*, *D.atrata*, *D.filix-*  
*mas*, *D.liliana*, *D.remata*, *D.alexenkoana*, *Polystichum braunii*, *P.satiform*, *P.woronowii*.  
*Hyppolepis punctata*, *Pteris critica*, *Ophioglossum vulgatum*, *O.lusitanicum*. და სხვა.

2. პეტროფანტები- ლიტოფიტები, პეტროფიტები-ეს სახეობებია, რომლებიც ადაპ-  
ტირებული არიან კლდოვან ქვიან ქანებთან. ლიპტოფიტებს- მიეკუთნებიან ფესურიანი  
გვიმრები: *Adiantum crepillus-veneris*, *A.cunneatum*, *Asplenium trichomanes*, *Botrychium*  
*lunaria*, *Ceterach officinarum*, *Cystopteris fragilis*, *driopteris oriades*, *Notholaena*  
*marantea*, *Polypodium vulgare*, *Polystichum lonchitis*, *Woodsia alpine* და სხვა.

2.1. ხასმოფიტების-გვიმრების სახეობებია, რომლებიც კლდის ნაპრალებსა და ქვი-  
ანი სუბტრატზე იზრდებიან. სახეობების უმეტესობას აქვს გრძელი 72 სმ. ფესვები, რომ-  
ლებიც შედიან ღრმად კლდის ნაპრალებში, ქვებსა და ღორღებში, სადაც ნიდაგის მცირე  
წარმონაქმნებამდე აღწევს. სახეობები ხასითდება წყლისა და ტემპერატურის რეჟიმის  
მკაცრ პირობებთან მაღალი შემგუებლობით. ხასმოფიტები განსხვავებით სხვა სახეობე-  
ბისგან ეკოლოგიურად არახელსაყრელ პირობებში „პიონერ“ სახეობებად გვევლინები-  
ან. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ ფლორაში გავრცელებული გვიმრებიდან ხასმო-  
ფიტებია: *Annogramma leptophylla*, *Asplenium ruta-murera*, *A.septentrionales*, *A.viridi*,  
*A.woronowii*, *SCryptogramma crispa*, *Pteris vittata*, *P serulata* და სხვა.

3. მდელოს ეკოტიპის სახეობა-არც ისე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი  
ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ ფლორაში, გავრცელებული გვიმრები გვხვდებიან  
როგორც მაღალ ან დაბალ ბალახიან მდელოებზე, ასევე ბუჩქნარებში, ტყისპირა ნათელ  
ადგილებსა და ჭარბტენიან მდელოებზე. ფართოდ გავრცელებულია *Pteridium*  
*tauricum*, *Oriopteris limbosperma*. *Thelypteris palus*. და სხვა.

გვიმრების ზრდა-განვითარებისათვის ტენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქ-  
ტორია, რადგან სპორებიდან ზრდასრულ გამეტოფიტად ჩამოყალიბებამდე წყალი აუ-  
ცილებელი კომპონენტია. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ ფლორაში, გავრცელებუ-  
ლი გვიმრები ტენის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით სამ ჯგუფში ერთიანდები-  
ან: მეზოფიტები, ჰიგროფიტები და ქსეროფიტები.

მეზოფიტები-ყველაზე დიდი ჯგუფია, რომლებიც ძირითადად ტყის სახეობებით  
არიან წარმოდგენილი და შეგუებულია დატენიანებულ ეკოტიპებს, ისინი გვხვდებიან  
ტყეებში და ტყე-კლდეებზე. ეს სახეობებია: *Asplenium adiantum nigrum*, *A.woronowii*,  
*A.scolopendrium*, *Athirium felis-femina*, *A.destentifolium*, *Blechnum spicanta*, *Botrychium lunaria*,  
*Dryopteris dilatata*, *D.affinis*, *D.atrata*, *D.filix-mas*, *D.liliana*, *D.remata*, *Ophioglossum*  
*vulgatum*, *Onoclea sensibilis*, *Phigopteris connectilis*, *Polystichum braunii*, *P.satiform*,  
*P.woronowii*. *P.lanceolata*, *Woodcia alpine*, *Pteris critica*. *P.tauricum*. და სხვა.

ჰიგროფიტები-გვიმრების სახეობები, რომლებიც ჭარბტენიან ნიადაგებზე ან სველ  
კლდეებზე იზრდებიან: *Adiantum crepillus-veneris*, *A.raddeanum*, *Hymenophyllum*  
*tunbrigense*, *Osmunda regalis*, *Thelypteris palustris* და სხვა.

ქსეროფიტები-გვიმრები რეომლებიც მშრალ ღია კლდოვან ეკოტიპის პირობებში  
იზრდებიან. ეს სახეობებია: *Anogramma leptophylla*, *Asplenium ruta-moraria*,

*A.septentrionale*, *A.viride*, *A.trichomanes*, *Cryptogramma crispa*, *Ceterach officinarum*, *Pteris vittata*, *P. serulata*, *Notholaena morenthae* და სხვა.

გვიმრებისათვის დამახასიათებელია სტერილური და ფერტილური ფოთლები. სტერილურ ფოთლებზე სპორენგიუმები არ ვითარდება, ასეთ გვიმრებზე დამატებით ვითარდება სასპორე ანუ ფერტილური ფოთლები, რომლებიც სტერილურისგან განსხვავდება. გვიმრები ფერტილური ფოთლების მრავალფეროვნების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: 1. გვიმრები, რომლებიც სპორებს ივითარებს ფოთლის ქვედა მხარეს, ამ შემთხვევაში სტერილური და ფერტილური ფოთლები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან: *Asplenium adiantum nigrum*, *A. pseudolanceolatum*, *A. septentrionale*, *A. viride*, *A. trichomanes*, *Asplenium ruta-moraria*, *A. scolopendrium*, *A. cuneifolium*, *Ceterach officinarum*, *Athyrium felix-femina*, *A. alpestre*, *Cystopteris fragilis*, *Pteridium tauricum*, *Dryopteris atrata*, *D. alexeenkoana*, *D. filix-mas*, *D. liliana*, *D. remata*, *Polystichum braunii*, *P. satiforum*, *P. woronowii*, *P. lanceolata*, *Polypodium vulgare*, *Pteris vittata*, *P. serulata*, *Adiantum crepillus-veneris*, *A. reddianum*, *Thelypteris palustris*, *Woodsia alpina*. და სხვა. 2. გვიმრები, რომლებსაც უვითარდებათ ცალკე სასპორე ფოთოლი, სტერილური და ფერტილური ფოთლები განსხვავებულია: *Blechnum spicant*, *Onoclea sensibilis*, *Pteris critica*, *Cryptogramma crispa*, *Matteuccia struthiopteris*.

3. გვიმრები, რომლებსაც სპორები უვითარდებათ ფერტილური ფოთლების ბოლოში: *Botrychium lunaria*, *Ophioglossum vulgatum*, *O. lusitanicum*, *Osmunda regalis*.

გვიმრები ვეგეტატიურად მრავლდებიან მიწისქვეშა ფესურებით, ზოგჯერ, „ჩეკია“ კვირტებით. უსქესო გამრავლება ხდება სპორანგიუმებში განვითარებული სპორებით. სპორანგიუმის კედელ უჯრედების ერთ ან მრავალ შრეს მოიცავს და აქვს გამხსნელი რგოლი სქელგარსიანი უჯრედებით. სპორანგიუმების ჯგუფები ქმნიან სორუსებს, რომლებიც დაფარულია საბურველით-ინდომეზიუმით. სპორების გაღვივებისას ვითარდება წინაზრდილი-ჰაპლოიდური სქესიანი თაობა-გამეტოფიტები. დიპლოიდური უსქესო თაობა-სპოროფიტი წინაზრდილზე განლაგებულია სასქესო ორგანოები-არქეგონიუმები და ანთერიდიუმები. კვერცხუჯრედის განაყოფიერება ხდება ტენიან გარემოში, განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ვითარდება-დიპლოიდები, ახალი გვიმრები.

ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ველური ფლორაში იშვიათად გვხვდება 11 სახეობის გვიმრა, მათი უმეტესობა ვიწრო ლოკალურ ადგილებშია გავრცელებული და გადაშენების საფრთხის წინაშეა. განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს გვიმრები სახეობები, რომლებიც ერთეულების სახით გვხვდება. გვიმრების სახეობების უმრავლესობა არც ისე ფართო ეკოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება, ისინი ძალიან მგძნობიარენი არიან გარემო პირობების ცვლილებების მიმართ, სწორედ ეს განაპირობებს ველურ ბუნებაში მათი რიცხოვნების შემცირებას და ქმნის გადაშენების საფრთხეს.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ პტერიდოფლორისათვის იშვიათი 15 სახეობის გვიმრებიდან, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN), წითელი ნუსხით“ დაცულია 3 სახეობა: *Osmunda regalis* L.LC ver; *Adiantum capillus-veneris* L.LC ver; *Ophioglossum lusitanicum* L.LC Ver.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ჩვენს მიერ აღრიცხულია არადგილობრივი ადვენ-

ტური ანუ გზადმოყოლილი, ინვაზიური, სუბსპონტანური გვიმრების 5 ოჯახის 7 გვარის, 8 სახეობა. ყველა ეს სახეობა მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეებია. გვიმრების 8 სახეობიდან 7 ივითარებს აღმოცენების უნარიან სპორებს, რამაც განაპირობა მათი გამრავლება, გავრცელება.

ჩვენი კვლევის შედეგად გაირკვა გვიმრების ადვენტური ანუ გზადმოყოლილი სახეობები: *Osmunda regalis* L.LC ver, *Dryopteris rigida*, *D.felix-mas*, *D. alexeenkoana*, *D.spiniolosa*, *D.liliana*. *Annogramma leptoptylla*, *Asplenium ruta-murera*, *A.septentrionales*, *A.woronowii*, *Cryptogramma crispera*, *Pteris vittata*, *Ophioglossum lusitanicum*, *Botrychium lunaria*. და სხვა.

კვლევის საფუძველზე დადგინდა და გამოიყო ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ველურ ფლორაში გავრცელებული პტერიდოფლორის ეკოტიპები, რომელიც იყოფა სამ ჯგუფად; 1. ტყის ეკოტიპის-26 სახეობა, 2. პეტროფანტების-ლიტოფიტების და ხასმოფიტების(კლდის სახეობები)-21 სახეობა, 3. მდელოს-5 სახეობა.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ ფლორაში გავრცელებული გვიმრები ტენის მიმართ ერთიანდებიან სამ ჯგუფად: მეზოფიტები-38 სახეობა, ჰიგროფიტები-4 სახეობა და ქსეროფიტები-10 სახეობა. განათებისა და ჩრდილისა მიმართ განსხვავებული მოთხოვნისა და ამტანობის მიხედვით გამოვყავით გვიმრების სამი ჯგუფი: 1. სინათლის მოყვარული ჰელიოფიტები, ჰემიჰელიოფიტები-9 სახეობა; 2. ჩრდილის ამტანი ჰემისციოფიტები, სციოჰელიოფიტები-21 სახეობა; 3. ჩრდილის მოყვარული სციოფიტი-22 სახეობა ბაღში გავრცელებული სახეობების უმრავლესობა ვიწრო ეკოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება, შესაბამისად, ისინი ძალიან მგძნობიარენი არიან გარემო პირობების ცვლილებების მიმართ და სწორედ, ეს განაპირობებს ველურ ბუნებაში მათი რიცხოვნებს შემცირებას და ქმნის გადაშენების საფრთხეს.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ პტერიდოფლორაში გავრცელებული გვიმრების ნაწილი საკვებად გამოიყენება, ნაწილი შხამიანია, სამკურნალოდ გამოიყენება 17 სახეობა. გვიმრები შეიცავს მიკრო და მაკრო ელემენტებს: აზინინს, ნიკოტინის მჟავას, კაროტინს, ლორწოს, ეთერზეთებს. გვიმრებს აქვს თვისება ჰაერი და ნიადაგიდან მიიღოს მძიმე მეტალები, ამის გამო მას გამოიყენებენ დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. გვიმრების ზოგიერთი სახეობა ავლენს: ანტიმიკრობულ-ანთების საწინაარმდეგო, სისხლის აღმდგენ, ანტისეფტიკურ, შარდმდენ თვისებებს. მისი ნაყენი გამოიყენება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, ფილტვების სამკურნალოდ, ის კარგი ტკივილ გამაყუჩებელია ნიკრისის ქარების დროს. გვიმრების სამკურნალიდ მეცნერულად გამოყენების დასაბუთება მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩდა. მსოფლიოში სხვადასხვა მონაცემებით 180-მდე სახეობის სამკურნალო დანიშნულების გვიმრა ფიქსირდება. ხალხურ მედიცინაში გვიმრები ცნობილია როგორც ჭიების საწინააღმდეგო, საფაღარათო, ნაღველ-კენჭოვანი დაავადების სამკურნალო საშუალება, მისგან ამზადებენ, საყმაწვილოს "წამალს, ნახარშებს ჭრილობების შესახოეცებლად, სახსრების ტკივილის საწინააღმდეგოდ და მრავალი სხვა დაავადები სამკურნალოდ.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღის ველურ პტერიდოფლორაში გავრცელებული გვიმრები ოჯახების უმრავლესობა მალელდეკორატიული ღირებულების სახეობებით გამო-

ირჩევან. მათი გამოყენება შესაძლებელია ისეთი ადგილების გასამწვანებლად, სადაც ნაკლები განათება და ჭარბი ტენია, დაჩრდილული ადგილების დასაფარად. ბალ-პარ-კებში, სკვერებში, აუზებთან და შადრევნებთან ჯგუფებად და სოლიტერებად დასარგავად.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ა. მაყაშვილი-ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. საქ. მეცნ.აკად. 2. ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკური ინ-ტი-მე-3 გამოცემა. თბილისი (1991) წ. „მეცნიერება“.
3. საქართველოს მცენარეთა სარკვევი 1- 2 ტ. თბილისი 1969 წ. „მეცნიერება“.
4. ლ. ი. სკლიარევსკი, ი. ა. გუბანოვი - სამკურნალო მცენარეები ოჯახურ პირობებში. თბილისი 1993 წ. „დილა“.
5. კ. სუხიტაშვილი საქართველოს ყვავილოვანი მცენარეები სარკვევი თბილისი 2018 წ.
6. ლ. ასიეშვილი, რ. ბიძინაშვილი, ნ. ერაძე, მ. სირაძე, ნ. ცხადაძე საქართველოს ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორა. თბილისი 2014 წ. გამომცემლობა. „კენტავრი“.
7. ი. ნახუცრიშვილი, ქ. ყანჩაველი, და სხვ. საქართველოს სპოროვანი მცენარეთა ფლორა (კონსპექტი). საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი. - თბილისი: (1986) მეცნიერება (რუსულად).
8. გაგნიძე რ: საქართველოს ფლორის მრავალფეროვნება - საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. თბილისი 2000 წ.

## Flora Ferns of Kutaisi Botanical Garden

**Nunu Diakonidze**

Science worker, Kutaisi Botanical Garden, Georgia, Kutaisi

**Nino Khonelidze**

Science worker, Kutaisi Botanical Garden, Georgia, Kutaisi

*The work deals with genus and species of Pteridoflora Polypodiaceae family that grow naturally and are spread with wild herbaceous plants in Kutaisi Botanical Garden and its surroundings. Ferns are heat and moisture loving plants. In the wild pteridoflora of Kutaisi Botanical Garden, there are species of non-sporangium and leptosporangium ferns of 9 divisions Polypodiaceae - 15 families, 29 genus, 73 species. The International Union for the Conservation of Nature (IUCN) "The Red List" and "The Red Book" include three species of ferns. In the wild flora of Kutaisi Botanical Garden, we have recorded 8 species of 5 families, 7 genus of non-local adventive, invasive, spontaneous ferns. All these species are perennial herbaceous plants. 7 out of 8 species develop spores capable of germination, which led to their multiplication and spread. 11 species of ferns are rarely found in the wild flora of Kutaisi Botanical Garden, most of them are distributed in narrow local areas and are in danger of extinction and require special protection. Species of ferns that are used in medicinal and decorative gardening have been selected.*

**Key words:** Ecotype, Pteridoflora, Spore plants, Chasmophyte.

Polypodiaceae ferns - it is one of the groups of ancient flora, the highest spore vascular plants. Ferns combine both herbaceous and woody plant types, most ferns are shade plants and they do not resist direct sunlight and grow mainly in moist forest stands. Ferns are spread throughout the world, mostly in the humid subtropics and tropics.

Based on our long-term research and literary sources, it was determined that the pteridoflora of Kutaisi Botanical Garden includes 73 species presented by 9 divisions, 15 families and 29 genus. These families are: Adiantaceae (C. Presl.) Ching. Asplandaceae Newm. Athyriaceae Alston. Blechnaceae Newman. Cystopteridaceae (Payer) Schmakov. Dennstaedtiaceae Lqsty. Dryopteridaceae R. C. Ching. Hymenophyllaceae Link. Osmundaceae Bercht et J.Presl. Onocleaceae L. Ophioglossaceae C. Agardh. Bercht. et J.Presl. Polypodiaceae Bercht. Pteridaceae Reichenb L. Thelypteridaceae Pic.Serm. Woodsiaceae Herter.

The largest families of ferns in the wild pteridoflora of Kutaisi Botanical Garden are: Asplandaceae Newm 12 species of 3 genus. ,Dryopteridaceae 20 species of 6 genus. Pteridaceae Reichenb L. 26 species of 6 genus. Ophioglossaceae 2 species of 2 genus, Thelypteridaceae 10 species of 3 genus, Cystopteridaceae 14 species of 3 genus.. The families represented by one or two species are: Osmundaceae, Hymenophyllaceae, Blechnaceae etc. The genus are: Anogramma, Blechnum, Botrycium, Ceterach, Cryptogramma, Cystopteris, Hymenophyllum, Hypolepisi, Notholaena, Cyrtomium, Gymnocarpium, Struthiopteris, Onoclea, Oreopteris, Osmunda, Phegopteris, Thelypteris, Pteridium. Woodsia etc.

As a result of our monitoring, it was determined that 11 species of ferns are rarely found in the wild flora of Kutaisi Botanical Garden, most of them are distributed in narrow local areas and are in danger of extinction. Special protection is required for fern species that are found in the form of units. The majority of fern species is characterized by not so wide ecological features, they are very sensitive to changes in environmental conditions, this is what leads to a decrease in their number in the wild and creates a threat of extinction.

For the wild pteridoflora of Kutaisi Botanical Garden, 3 species, out of 15 rare species, are protected by the Red List of the International Union for Conservation of Nature (IUCN): *Osmunda regalis* L.LC ver; *Adiantum capillus-veneris* L.LC ver; *Ophioglossum lusitanicum* L.LC Ver.

In Kutaisi Botanical Garden, we have recorded 8 species of non-local adventive, invasive, spontaneous ferns of 5 families, 7 genus. All these species are perennial herbaceous plants. 7 out of 8 species of these ferns develop spores capable of germination, which led to their reproduction and spread. As a result of our research, the advent species of ferns were revealed.

On the basis of the research, the ecotypes of Pteridiflora ferns, spread in the wild flora of Kutaisi Botanical Garden, were determined and separated. They are divided into three groups: 1. 26 species of forest ecotypes, 2. 21 species of Petrophanes-lithophytes and chasmophytes (rock species), 3. 5 species of meadow. Ferns grown in the wild flora of Kutaisi Botanical Garden are divided into three groups according to their dependence on moisture: mesophytes-38 species, hygrophytes -4 species and xerophytes-10 species. We distinguished three groups of ferns according to their different requirements and resistance for lighting and shade: 1. Light-loving - heliophytes, hemiheliophytes - 9 species, 2. Shade-resistant hemisiophytes, sciophytes -21 species, 3. Shade-loving sciophyte-22 species. Most of the species grown in the garden are characterized by narrow ecological features, therefore, they are very sensitive to changes in environmental conditions, and this is what leads to a decrease in their number in the wild and creates a threat of extinction.

